შპს შპს პოსტვის ფინანსური უწყისები და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

კომპანია და მისი საქმიანობა

საფირმო სახელწოდება:	შპს პოსტვ
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	402052906
რეგისტრაციის ნომერი, თარ:	21/06/2017
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქუჩა, N6

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

აღმასრულებელი დირექტორი - თემურ ჭარელაშვილი, 60001026964 ნუგზარ რუხაძე, 01024002366 /აშშ/ დირექტორი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

პარტნიორები

შალვა რამიშვილი, 01007006405 24%
თემურ ჭარელაშვილი, 60001026964 24%
ვიქტორ ჯაფარიძე, 01005003721 52%

სატელევიზიო პროგრამების შექმნის და ტელემაუწყებლობის საქმიანობები

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია მცირა და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მესამე განყოფილების (ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოთხოვნათა შესაბამისად). ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია; კომპანია 2017 წელს ბუღალტერიას აწარმოებდა საბუღალტრო პროგრამა „ორისი“-თ. ფინანსურ ანგარიშგების შედგენა ევალება მთავარი ბუღალტერს, ფინანსურ ანგარიშგების მომზადებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის დირექტორი რომელიც პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების გამოცემაზე.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება (მსს ფასს-ის) მე-17 განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტებისადმი

სტანდარტის მოთხოვნა საწარმოს დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ: ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გათვალისწინებით;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების მოდელი.

ცვეთა.

ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი - თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ხშირ შემთხვევებში ნარჩენი ღირებულებები არაარსებითია და ამდენად ნულს არის გატოლებული, ცვეთადი ღირებულება თვითღირებულების ტოლია. განსაზღვრულია ასევე ცვეთის პერიოდი. ცვეთის მეთოდად არჩეულია შემცირებადი ნაშთის მეთოდი. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება. აღიარების შეწყვეტა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანები-დანადგარები - 4 წელი

ოფისის აღჭურვილობა - 4 წელი

კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები - 3 წელი

სხვა - 6-7 წელი

პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ხარჯებად აღიარება. როცა მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, შესაბამისად, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა უნდა აღიარდეს იმ მარაგის თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა. დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა აღირიცხება მსს ფასს-ის 23 განყოფილების მოთხოვნათა შესაბამისად. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება. თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით.

მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საკურსო სხვაობების აღიარება.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, მსს ფასს-ის 23-ე განყოფილების მოთხოვნათა შესაბმისად.

დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

საქონლის გარკვეული ნაწილის მიწოდება განთავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით საგადასახადო კოდექსის 168 მუხლის მეოთხე ნაწილის ქ) პუნქტის საფუძველზე. ასეთია საქართველოს ბინადარი ცხოველისგან მიღებული პროდუქტის სამრეწველო გადამუშავების შედეგად წარმოებული ყველი. წარმოებული ყველა სხვა პროდუქტის მიწოდება იბეგრება დღგ-თი.

მომხმარებლებთან ანგარიშსწორება ნაწილობრივ ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით და მომხმარებლების მიერ გადახდილი ნაღდი თანხები საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის შესაბამისად აღირიცხება საკონტროლო საკასო აპარატებით. სალაროს მეურნეობის ორგანიზება საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი განაწესით ხდება, სალაროს ოპერაციებს მოლარე ოპერატორები და მთავარი მოლარე ახორციელებენ. ისინი მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ. სალაროს ოპერციების დოკუმენტური გაფორმება და მათი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში ასახვა დადგენილი წესით ხორციელდება შემოსავლისა და გასავლის ორდერების სათანადო გაფორმებით. ორდერებზე არ ხდება მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითება, ვინაიდან ამ ანგარიშების განსაზღვრას სალაროს ოპერაციების ბუღალტრულ ბაზაში ასახვის ახორციელებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.

დამატებითი ღირებულოების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი. საქონლის მიწოდების, ასევე მომსახურების ყველა ოპერაცია იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით გარდა ყველის მიწოდებისა, რაც განთავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით. კომპანიას უსასყიდლოდ მიწოდებული საქონელი, დანაკლისები დაბეგრილი აქვს დამატებული ღირებულების გადასახადით. დღგ-ს უკუდაბეგვრა არარეზიდენტების მიერ კომპანიისათვის საქართველოში გაწეულ მომსახურებაზე ხორციელდება საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

საშემოსავლო გადასახადი.

საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში; ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო აგენტი ვალდებულია ამ კოდექსის 153 -ე მუხლის მე 5 ნაწილით დადგენილ ყოველ საანგარიშო პერიოდზე, არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით. ხელფასთან გათანაბრებული სხვა ხარჯები იბეგრება 154 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. დივიდენდები იბეგრება 130 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ქონების გადასახადი იანგარიშება საგადასახადო კოდექსის 29-ე თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

შპს პოსტვ

ს/კ 402052906

მთ. ბუღალტერი

აღმასრულებელი დირექტორი

კახა ლომიძე

თემურ ჭარელაშვილი

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეквივალენტები	100,195	69,574	41,286
საალარიშო და სხვა მოთხოვნები	374,209	439,229	316,942
სხვა პორტფელი, ელექტრონულ სესხებად გაცემული ფული და სესხები	21,426	-	9,911
მარაგები	13,298	4,580	-
- მზა პროდუქტი			
- სხვა	13,298	4,580	-
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოძრავი ქონება			
ბიოლოგიური აქტივები			
- ინვენტარებულები, ძოვებული			
ბუღალტერია			
სხვა არამატერიალური აქტივები	49,538	474,914	589,982
ძირითადი საშუალებები	117,943	216,237	24,739
რეგულირება მოგებიან კომპანიებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	676,609	1,204,534	982,840
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	4,962,472	4,569,939	3,840,138
პარიტეტი	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომლებთან მიმართ	-	-	-
სადაზღვევო ვალდებულებები	13,388	3,748	-
მოგებიანობის ნაგებობა სახელი	-	90,000	-
ეროვნული ფასიანი ნაგებობა სახელი	-	-	-
მიმდინარე ეროვნული	-	-	-
სხვა ვალდებულებები	1,760,445	750,315	715,892
სულ ვალდებულებები	6,736,305	5,414,002	4,556,030
საკუთარი კაპიტალი			
საწყისი კაპიტალი (ბაზის პერიოდში კაპიტალი - კორპორაციის შემთხვევაში საბაზო კაპიტალი)	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(6,059,696)	(4,209,468)	(3,573,190)
გადფასების რეზერვი	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	(6,059,696)	(4,209,468)	(3,573,190)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	676,609	1,204,534	982,840
სულ მოძრავი აქტივები	509,128	513,383	368,139
სულ მოძრავი ვალდებულებები	4,975,860	4,663,687	3,840,138

მთ. ბუღალტერი:
კახა ლომიძე

აღმასრულებელი დირექტორი:
თემურ ჭარელამვილი

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	5,076,000	4,953,804
საფოსტო მომსახურება	-	-
მოგზაურობის კონტროლი	5,063,668	4,941,949
საერთაშორისო ტელეკომუნიკაციებიდან	-	-
სხვა	12,332	11,855
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(1,778,998)	(1,874,223)
საერთო მოგება	3,297,002	3,079,581
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(2,230,161)	(3,679,390)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(28,115)	(36,469)
საოპერაციო შემოსავალი	-	-
საოპერაციო ხარჯი	-	-
იჯარის ხარჯი	(1,634,922)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,254,032)	-
სულ საოპერაციო ხარჯები	(5,147,230)	(3,715,859)
საოპერაციო მოგება	(1,850,228)	(636,278)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსავლობა / (ზარალი) ლეგიტიმური ვალუტით უცხოურ ვალუტებიდან და საგალუტო სახსრების გაცვლითი სხვაობიდან		
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არაოპერაციული შემოსავალი / (ხარჯი)	-	-
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-	-
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(1,850,228)	(636,278)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		-
[ფინანსური ინსტრუმენტების (მათ შორის, პროცენტგადახდის აქტივების) გადაფასების რეზერვი]		
[სხვა (მათ შორის ნეტო ინვესტიციიდან და ფულადი ნაკადების ჰეჯირებიდან) ეფექტური ვალუტის გადაფასების რეზერვი და ფასდაკლებულ გადასახადებელი პროგრამები]		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(4,209,468)	(3,573,190)
ბალანსი აქციების გამოშვება (მათ ს მეშვეობით, კაპიტალის გაზრდა, კონვერტაციიდან მეშვეობით ბაზაზე კაპიტალის	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(6,059,696)	(4,209,468)

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (მოხმარებული) საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(246,379)	(444,212)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში - გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადე	307,000	382,500
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(30,000)	90,000
ფულადი სახსრების შემოსავლა (გასავლა)	30,621	28,288
ფულადი, კონტის ექვივალენტების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	69,574	41,286
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	100,195	69,574

მთ. ბუღალტერი:
კახა ლომიძე

აღმასრულებელი დირექტორი:
თემურ ჭარელაშვილი

POSTV
402052906
GEORGIA "POSTV" LTD